ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2611546

ნომერი: AR1403929

თარიღი : 13.05.2016

გაცემის თარიღი : 31.05.2016

გაცნობის თარიღი : 31.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გმირი კურსანტების ქუჩა N1ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ლალიაშვილი პ/ნ 01025005491
- პეტრიწის 8 ბ

ორგანიზაცია:

- შპს მწვანე სახლი კოდი: 404997740

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25/02/2016 წლის №2451898 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 13/05/2016 წლის №AR1403929 განაცხადით მომართეს ლაშა ლალიაშვილმა და ნინო ქერქაძემ და ამავე სამსახურის 25/02/2016 წლის №2451898 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვეს.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 25/02/2016 წლის №2451898 ბრძანებით ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N1ა, შ.პ.ს. ,,მწვანე უბნის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: N01.11.05.011.162) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, ხოლო ამავე სამსახურის 09/03/2016 წლის №2468814 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 09 მარტიდან 2019 წლის 09 მარტის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, 25/02/2016 წლის №2451898 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოსა და საერთო ფართობები არასწორადაა დაფიქსირებული. განმცხადებელმა წარმოადგინა გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები.

წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 25/02/2016 წლის №2451898 ბრძანებაში გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური შეცდომა და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:148,2; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:395,3; საერთო ფართობი (კვ.მ).: 2945,1;

სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25/02/2016 წლის №2451898 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:148,2; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:395,3; საერთო ფართობი (კვ.მ).:2945,1; სამსახურის 25/02/2016 წლის №2451898 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25/02/2016 წლის №2451898 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.